ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N3

ბაბა ქედა 09 აგვისტო, 2022 წელი.

სხდომა დაიწყო 16:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 16:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
მზია ბოლქვაძე კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ვერძაძე; ჯემალ დავითაძე; შორენა კარანაძე და მინდია არძენაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

09.08.2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
5	მზია ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
6	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
7	ჯემალ დავითაძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	
9	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. **დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ.**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია საინიციატივო ჯგუფი წერილი დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ (შემოსული წერილი: 95-95221401; თარიღი: 20.05.2022 წელი), რომელიც შესასწავლად გადაეცა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლი 6 ნომებრის №25 დადგენილების „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესი"-ის მე-3-ე მუხლის შესაბამისად, ქანდაკების განთავსებასთან დაკავშირებით საკრებულოში შემოსულ წერილობით მომართვას შეისწავლის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია (შემდგომში საკრებულოს კომისია). საკრებულოს კომისია საკითხის შესწავლისა და განხილვის შემდეგ ადგენს დასაბუთებულ დასკვნას ქანდაკების განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საინიციატივო ჯგუფთან არაერთი შეხვედრა გაიმართა და კომისიის მიერ ბიუსტის განთავსების ადგილად შეთავაზებული იყო ქედის №1 საჯარო სკოლის ეზოში, რადგანც სკოლაც პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის სახელობისაა და ლოგიკური იქნებოდა ბიუსტის იქ განთავსება, თუმცა თავად საინიციატივო ჯგუფის მიერ არ იქნა ეს წინადადება გაზიარებული.

მომხსენებელმა, განმარტა რომ 2022 წლის 20 ივნისს ჩატარდა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის №2 სხდომა, რომელმლის გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად ჩაითვალა ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსება ვაჟა ფშაველას ქუჩის დასაწყისში, რომელზეც პროექტის ინიციატორების მიერ 2022 წლის 24 ივნისს წარმოდგენილია თანხმობის მომართვა N95-95221752.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ინიციატორის განმარტებით, ბიუსტის დამზადება და განთავსების ხარჯები განხორციელდება საინიციატივო ჯგუფის მიერ, ხოლო ტერიტორიის კეთილმოწყობის, ლენდშაფტურ-არქიტექტურული გეგმიური გადაწყვეტის, ადგილმდებარეობის რეკონსტრუქციის და სხვა რიგი კეთილმოწყობითი წარმოებისთვის თანხის მობილიზება მიზანშეწონილია ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით.

ქედის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის №25 დადგენილების „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონომენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის" დამტკიცების შესახებ მე-2 თავის მესამე მუხლის 3-ე პუნქტის შესაბამისად, თუ მიმართვის ავტორი საკრებულოს სთავაზობს ქანდაკების განთავსებას ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, საკითხი დადგენილი წესით განსახილველად ეგზავნება (გადაეცემა) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და ქედის მუნიციპალიტეტის მერს, რომლებიც ვალდებულნი არიან საკითხის გადაცემიდან 10 კალენდარული დღის ვადაში შეადგინონ დასკვნა ქანდაკების პროექტის ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 2 აგვისტოს N94-9422214111 წერილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის მერია გამოთქვამს მზაობას,

დაბა ქედაში ვაჟა ფშაველას ქუჩის დასაწყისში პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსებისათვის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტის განხორციელებისათვის, თანამონაწილეობის ხარჯების გაწევისათვის. ასევე 2022 წლის 9 აგვისტოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სფინანსო საბიუჯეტო კომისიის დასკვნით მიზანშეწონილა დაბა ქედაში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის დასაწყისში, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსებისათვის თანამონაწილეობის ხარჯების გათვალისწინება ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტში.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ წინადადება ,,დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ" კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსება დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე.
2. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის ინიცირება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.
3. ქანდაკების განთავსების საკითხი (წინადადება და მასზე თანდართული მასალები (ქანდაკების განთავსების შესახებ მომართვის ასლი, ქანდაკების ვიზუალური (არქიტექტურულ-დიზაინერული) პროექტი, საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი და საკრებულოს კომისიის დასაბუთებული დასკვნის ასლი) 5 კალენდარული დღის ვადაში, საკრებულოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვით შესათანხმებლად გაეგზავნოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 16:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ოთარ ხარაძე**

ოქმი შეადგინა:
დამხმარე სპეციალისტი
საკრებულოს კომისიების საქმიანობის
ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით **თეონა ჯინჭარაძე**